ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე - კოლეგიის წევრი
გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ბ. ბ.
საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: რ. შ. /სიითი № /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.03.2015

საჩივრის რეგისტრაციის №023/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ნ. -ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ნ. -სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 24 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ბ. ბ. -მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ნ. -სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი აწარმოებს სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ დავას შპს „x x"- ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვ. მ. -ის და საქართველოს მოქალაქეების: ნ. ჭ. -ს და ნოტარიუს მ. კ. -ის მიმართ, როგორც საქალაქო სასამართლოში, ისე პროკურატურაში, უკანონოდ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მოწინააღმდეგე მხარეების თაღლითური ქმედებების შედეგად წაერთვა უძრავ ნივთზე თანასაკუთრების უფლება. აღნიშნულ საქმეში მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი რ. შ. .

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. ნ. -მ რ. შ. -სთან ერთად მისი საქმის წარმოება დაიწყო 2013 წლის 27 აგვისტოდან. საჩივრის ავტორსა და ი. ნ. -ს შორის შედგა მოლაპარაკება რომლის თანახმადაც, ი. ნ. გაწევდა იურიდიულ მომსახურებას, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით შპს „x x ”- ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვ. მ. -ის და საქართველოს მოქალაქეების: ნ. ჭ. -ს და ნოტარიუს მ. კ. -ის წინააღმდეგ, რის სანაცვლოდაც დავის დასრულებისთანავე საჩივრის ავტორს უნდა გადაეხადა მისთვის დავის საგნის ღირებულების 4%. აღნიშნულ მოლაპარაკებას ესწრებოდა საჩივრის ავტორის ქალიშვილი – ქ. ბ და ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდგომ, ი. ნ. -სა და საჩივრის ავტორს შორის შედგა წერილობითი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, იგი 2013 წლის აგვისტოს თვეში შეხვდა ი. ნ. -ს და მასთან ერთად გაეცნო საქმის მასალებს. მათ ისაუბრეს საქმის პერსპექტივაზე და დასახეს ერთად მოქმედების სტრატეგია. ი. ნ. გაეცნო, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ი. ნ. -მ განუმარტა, რომ მას ჰქონდა კავშირები, როგორც სასამართლოში ისე პროკურატურასა და საქართველოს მთავრობაში და მისი საქმის მსვლელობას დააჩქარებდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ნ. არაერთხელ ჩავიდა მის საქმესთან დაკავშირებით თბილისიდან ბათუმში. საჩივრის ავტორის თქმით, ადვოკატი ი. ნ. , რ. შ. და საჩივრის ავტორის ქალიშვილი ქ. ბ საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით ხვდებოდნენ ერთმანეთს ფინანსურ პოლიციასა და პროკურატურაში.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ მითითებულ საქმეზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულის პარალელურად, ი. ნ. -მ მოამზადა საჩივრის ავტორის სააპელაციო საჩივარი და შეიტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი აფინანსებდა ი. ნ. -ს თითოეულ ვიზიტს თბილისიდან ბათუმში და პირიქით, ასევე ბათუმში დარჩენას. აღნიშნული მოიცავდა გზის, სასტუმროსა და კვების ხარჯებს.

1.10 საჩივრის ავტორის თქმით, მას 2014 წლის იანვრის თვეში ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეების: შპს „x x ”-ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვ. მ. -ის და საქართველოს მოქალაქეების: ნ. ჭ. -ს და ნოტარიუს მ. კ. -ის სააპელაციო შესაგებელი, სადაც წარმომადგენლად მითითებული იყო ი. ნ. .

1.11 საჩივრის ავტორის თქმით, ფაქტობრივად, მოცემულ საქმეზე, ი. ნ. -მ მოამზადა საჩივრის ავტორის სააპელაციო საჩივარი და მისი მოწინააღმდე მხარის სააპელაციო შესაგებელი. აღნიშნული ბ. ბ. -სთვის ცნობილი გახდა მხოლოდ სააპელაციო შესაგებლის მიღების შემდეგ.

1.12 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო შესაგებლის მიღების შემდეგ, დაუკავშირდნენ სასამართლოს და სთხოვეს სხდომის გადადება, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარისათვის ცნობილი იყო მათი სტრატეგია და სჭირდებოდა დრო ახალი სტრატეგიის შესამუშავებლად, რის შემდეგაც სასამართლომ გადადო საქმის განხილვა.

1.13 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, რ. შ. და ქ. ბ დაუკავშირდნენ ი. ნ. -ს და მოსთხოვეს განემარტა, თუ რატომ იყო სააპელაციო შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარის

წარმომადგენლად მითითებული მისი სახელი და გვარი. ი. ნ. -მ განუმარტა, რომ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვას განაგრძობდა მხოლოდ სისხლის სამართლის კუთხით პროკურატურაში, ხოლო სამოქალაქო სამართლის კუთხით დაიცავდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვ. მ. -ის ინტერესებს, რაზეც საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა.

1.14 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის თქმით, თავდაპირველად, ი. ნ. -მ მას უთხრა, რომ დავა იყო პერსპექტიული და არ მიუთითებია, რომ ითანამშრომლებდა მხოლოდ ან სისხლის ან სამოქალაქო სამართლის კუთხით.

1.15 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან შეიტყო, რომ 2014 წლის 06 თებერვალს ი. ნ. -მ პროკურატურაში წარადგინა განცხადება, რომელშიც უთითებდა, რომ წყვეტდა ბ. ბ. -ის დაცვას.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, ი. ნ. არის არაპროფესიონალი, არაკეთილსინდისიერი და აღნიშნულ საქმეში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი.

1.17 საჩივრი ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, საჩივრის ავტორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის დავის წარმოება დაიწყო 2012 წლიდან. პირველ ინსტანციაში საქმის წარმოება წარუმატებლად დასრულდა. სააპელაციო სასამართლომ კი აღნიშნული დავა დელიქტად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა სარჩელი ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა, თუმცა ვერ მოხვდა საკასაციო სასამართლოში, რადგან ბ. ბ. -ს ფოსტაში გასაგზავნ გზავნილზე შეეშალა სასამართლოს დასახელება. აღნიშნული დავა სასამართლოში გაგრძელდა 2014 წლამდე.

1.18 წარმომადგენლის განმარტებით, მან მოამზადა სააპელაციო საჩივარი, რომელიც ქ. ბ. -ს გაუგზავნა. აღნიშნული საჩივარი დაზუსტებას საჭიროებდა. ქ. ბ. -მ იგი გაუგზავნა ი. ნ. -ს, ვინც შეავსო საჩივარი. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ი. ნ.-ს მომზადებულია.

1.19 წარმომადგენლის განმარტებით, ის ფაქტი, რომ ი. ნ. დიდი დროის მანძილზე იცნობდა მოწინააღმდეგე მხარეს მათთვის ცნობილი გახდა ეთიკის კომისიაში ი. ნ. -ს მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებიდან.

1.20 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, თავდაპირველად, საქმის გაცნობის დროს შესაძლებელი იყო საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის იდენტიფიცირება. შესაბამისად, ადვოკატ ი. ნ. -ს საქმის გაცნობის შემდეგ უნდა განემარტა, რომ იგი იცნობდა მოწინააღმდეგე მხარეს და ვერ დაიცავდა მის ინტერესებს, რაც ი. ნ. -ს არ გაუკეთებია.

1.21 წარმომადგენლის განმარტებით, ი. ნ. -მ განუცხადა, რომ მინდობილობა დასჭირდებოდა, როცა სასამართლოში გამოვიდოდა მის წარმომადგენლად. შესაბამისად, ბ. ბ. -ს მინდობილობა არ გაუცია ი. ნ. -სთვის.

1.22 წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არ გამოცხადდა ი. ნ. , თუმცა მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებიდან ირკვეოდა, რომ იცოდა საჩივრის ავტორის სუსტი მხარე და აქცენტს აკეთებდა სწორედ მის სუსტ მხარეზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ი. ნ. -სთვის არ გადაუხდია საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

2. **მოწმე ქ. ბ. -ის პოზიცია:**

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ქ. ბ. -მ განმარტა, რომ საქმის სირთულიდან გამომდინარე გადაწყვიტა, რ. შ. -ის დასახმარებლად მიეწვია სხვა ადვოკატი. იგი სატელეფონო ზარის მეშვეობით შეუთანხმდა ი. ნ. -ს საქმის მასალების გაცნობის თაობაზე. ქ. ბ. -ის განმარტებით, ი. ნ. -მ განუმარტა

მას, რომ საქმე პერსპექტიული იყო. საქმის გაცნობის დროს დაასახელეს ასევე მოწინააღმდეგე მხარეები. ადვოკატი დაპირდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით საქმის წარმოებაში. ი. ნ. მის საქმესთან დაკავშირებით ბათუმში ორჯერ იყო ჩასული, შეხვედრას ესწრებოდა ქ. ბ. -ის ძმა და ოჯახის სხვა წევრები. როგორც მისთვის ცნობილია ჰონორარი გათვალისწინებული იყო მთლიანი საქმის წარმოებისათვის დავის საგნის ღირებულების 4%. ქ. ბ. -ის თქმით, მისთვის უცნობია ბ. ბ. -მ მინდობილობა გაუფორმა თუ არა ი. ნ. -ს. ქ. ბ. -ის განმარტებით, ი. ნ. სააპელაციო სასამართლოში არცერთ სხდომაზე არ გამოცხადებულა.

3. მოწმე ასლან ბაუჟაძის პოზიცია:

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ა. ბ.-მ განმარტა, რომ იგი ი. ნ. -ს სატელეფონო ზარის მეშვეობით დაუკავშირდა და ჰკითხა მისი პოზიცია საქმის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ი. ნ. -მ განუმარტა, რომ დავა იყო პერსპექტიული და მომგებიანი. მას არ უთქვამს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს იცნობდა. პირადად არ უნახავს გაეცნო თუ არა ი. ნ. საქმის მასალებს.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 ადვოკატის განმარტებით, იგი 2013 წლიდან იცავდა შპს „x x ”-ს სისხლის სამართლის საქმეზე. ბ. ბ. -მ შპს „x x“-ის წარმომადგენელს გ. ჟ. -ს სთხოვა დახმარება სისხლის სამართლის საქმეზე ნ. ჭ. -ს მიმართ. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ადვოკატისა და საჩივრის ავტორის შეხვედრა.

4.2 ადვოკატის განმარტებით, იგი ბ. ბ. -ს შეხვდა 2013 წლის ნოემბერში და არა 2013 წლის 27 აგვისტოს და არც მოლაპარაკება უწარმოებია. მის წარმომადგენელს, რ. შ. -ს არ დაპირებია იურიდიული მომსახურების გაწევას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე შპს „x x ”-ის, ვ. მ. -ის, ნ. ჭ. -სა და ნოტარიუს მ. კ. -ის მიმართ, დავის საგნის ღირებულების 4%-ის სანაცვლოდ. მათ განუცხადა, რომ იურიდიულ მომსახურებას გაუწევდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე ნ. ჭ. -სა და ნოტარიუსის წინააღმდეგ.

4.3 ადვოკატის განმარტებით, ბ. ბ. -ის პრეტენზიები დაკავშირებული იყო მისი ახლო ნათესავის ნ. ჭ. -ს და ქობულეთის ნოტარიუსის მიმართ. კერძოდ, ბ. ბ. -ს მიაჩნდა, რომ მისი მიწის ნაკვეთი მოტყუებით გაყიდა ნ. ჭ. -მ ნოტარიუსის დახმარებით და მიითვისა მიწის ნაკვეთის შემძენის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასი. ი. ნ. -მ ბ. ბ. -ს განუმარტა, რომ შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება ნ. ჭ. -სა და ნოტარიუსის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები მათ ქმედებაში.

4.4 ადვოკატის განცხადებით, იგი ბ. ბ. -ის საქმეზე სპეციალურად არ ჩასულა ბათუმში. იგი შეხვდა საჩივრის ავტორს მაშინ, როცა სხვა საქმეზე იყო ჩასული. საჩივრის ავტორს არ დაუფინანსებია მისი ვიზიტი ბათუმში, მხოლოდ მისი მოთხოვნით 1 ღამე დარჩა ბათუმში, ვინაიდან ბ. ბ. -ის საქმეზე გამომძიებელთან თუ პროკურორთან შეხვედრა გადაიდო მომდევნო დღისათვის. სასტუმროს მომსახურებაში შედიოდა მხოლოდ ღამის გათენება, რომელიც საჩივრის ავტორის მიერ იყო შკვეთილი. საჩივრის ავტორს მგზავრობის თუ სხვა თანხა არ გადაუხდია.

4.5 ადვოკატის განმარტებით, იგი ბ. ბ. -ის თანხმობის საფუძველზე ქ. ბ. -სა და რ. შ. -სთან ერთად შეხვდა გამომძიებელსა და პროკურორს. გამომძიებელთან შეხვედრას ესწრებოდა ორივე პირი, ხოლო

პროკურორმა არ ისურვა ქ. ბ. -სთან შეხვედრა. შესაბამისად, შეხვედრას ესწრებოდა რ. შ. . ეს შეხვედრა საინფორმაციო ხასიათის იყო.

4.6 ადვოკატის განმარტებით, მან 2013 წლის ნოემბერში, რ. შ. -სთან და ქ. ბ. -სთან შეხვედრის დროს, მოამზადა წერილი, 2014 წლის 23 იანვარს კი იგივე შინაარსის წერილი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა თბილისიდან, ბათუმის რაიონალურ პროკურატურაში. აღნიშნულის გარდა მას სხვა არანაირი ქმედება არ განუხორციელებია.

4.7 ადვოკატის განმარტებით, მას არ მოუმზადებია ბ. ბ. -სთვის სააპელაციო საჩივარი, რაც დასტურდება 2013 წლის 30 დეკემბრის ბ. ბ. -ის საჩივრით, სადაც აპელანტის წარმომადგენლად მითითებულია რ. შ. .

4.8 ადვოკატის განმარტებით, მასსა და ბ. ბ. -ს შორის არ შემდგარა წერილობითი შეთანხმება. მას არ გამოუწერია ორდერი და არც მინდობილობა გაუცია ბ. ბ. -ს.

4.9 ადვოკატის განმარტებით, მას არანაირი „კავშირები“ და განსაკუთრებული „ურთიერთობა“ არ აქვს პროკურატურასთან და არც ბ. ბ. -ის საქმის შეფერხების რაიმე მცდელობა/ინტერესი ან/და შესაძლებლობა არ ჰქონია.

4.10 ადვოკატის განმარტებით, არასერიოზულია საჩივრის ავტორის მითითება, რომ მას კავშირები აქვს პროკურატურაში, სასამართლოსა და მთავრობაში. ადვოკატის თქმით, საჩივრის ავტორი გარკვეული თემებით მანიპულირებს და შესაბამისად, მასზე პასუხის გაცემა არ მიაჩნია სერიოზულად.

4.11 ადვოკატის განმარტებით, ბ. ბ. მას დაუკავშირდა ვ. მ. -ისა და შპს „x x ”-ის საქმეზე წარმომადგენლის მეშვეობით და მან თავიდანვე იცოდა, რომ მის წინააღმდეგ არ ჰქონდა საქმის წარმოების უფლება. იმავდროულად ვ. მ. -ს ი. ნ. -ს სახელზე გაცემული ჰქონდა მინდობილობა (მისი წარმომადგენელი არ იყო ადვოკატი და არ ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება). ვ. მ. არ იმყოფებოდა საქართველოში, ვერ ახერხებდა მინდობილობის სხვა პირზე გაცემას და სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობით ირღვეოდა მისი უფლებები. აღნიშნულის გამოა სააპელაციო შესაგებელზე მისი ხელმოწერა დაფიქსირებული. მას ვ. მ. -ის საქმეზე წარმომადგენლობა არ უწარმოებია, მასთან შეთანხმება არ გაუფორმებია და არც ჰონორარი მიუღია. ადვოკატის მონაწილეობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ სააპელაციო შესაგებლის წარდგენით მითითებულ საქმეზე სხვა არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

4.12 ადვოკატის განმარტებით, მან 2014 წლის იანვრის ბოლოს ორივე მხარეს აცნობა, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო ვერ მიიღებდა მონაწილეობას ვერცერთ საქმეზე. თვითაცილების წერილი 2014 წლის 01 თებერვალს გაუგზავნა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორს დ. ჭ.-ს. ადვოკატის განმარტებით, რ. შ. -ს გაშვებული აქვს საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადები და მანიპულირებს ი. ნ. -ს სახელით. წინააღმდეგ შემთხვევაში 1 წელზე მეტია, რაც მათთან შეწყვეტილი აქვს ურთიერთობა და რაიმე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, აქამდე წარადგენდა საჩივარს.

5.დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2015 წლის 23 აპრილს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ნ. -ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დადგინდა, ადვოკატმა ი. ნ. -მ ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე განახორციელა ისეთი ქმედება, რომელმაც

საფრთხე შეუქმნა საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის ინტერესებს, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილები.

5.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ სასამართლოში სააპელაციო შესაგებლის წარდგენა წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ი. ნ. ერთდროულად ახორციელებდა, როგორც საჩივრის ავტორის, ისე მოწიანაღმდეგე მხარის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რითაც უხეშად დაარღვია ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ი. ნ. -მ ეჭვქვეშ დააყენა მის მიმართ კლიენტის ნდობა და კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 ბ. ბ. -მ მიმართა ადვოკატ ი. ნ. -ს იურიდიული მომსახურების მიღების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ 2015 წლის 24 მარტს წარმოდგენილი ახსნა განმარტება. (ს.ფ. 2)
2. ეთიკის კომისიაში ადვოკატ ი. ნ. -ს მიერ 2015 წლის 01 აპრილს წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. (ს.ფ. 66)

6.2 ბ. ბ. -ის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეებს სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდნენ შპს „x x ”, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვ. მ. და საქართველოს მოქალაქეები: ნ. ჭ. და ნოტარიუსი მ. კ. .

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორის - ბ. ბ. -ის 2013 წლის 30 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი. (ს.ფ.32)

6.3 საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეების ვ. მ. -ს და შპს „x x“-ის წარმომადგენლად სააპელაციო შესაგებელზე მითითებულია ი. ნ. , რომელიც როგორც წარმომადგენელი თავისი სახელით აწერს ხელს აღნიშნულ შესაგებელს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ 2015 წლის 24 მარტს წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. (ს.ფ. 2)

2. ეთიკის კომისიაში ადვოკატ ი. ნ. -ს მიერ 2015 წლის 01 აპრილს წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. (ს.ფ. 66)

3. 2014 წლის 19 იანვრის ვ. მ. -ისა და შპს „x x"-ის სააპელაციო შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე (ს.ფ.51)

6.4 ბათუმის რაიონულ პროკურატურაში ნ. ჭ. -სა და ნოტარიუს მ. კ. -ის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მოთხოვნის თაობაზე ბ. ბ. -ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ი. ნ. .

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ი. ნ. -ს 2014 წლის 01 თებერვლის განცხადება ბათუმის რაიონულ პროკურატურას (ს.ფ.22)

6.5 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

ი. ნ. საჩივრის ავტორს დაპირდა, რომ იურიდიულ მომსახურებას გაუწევდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე ნ. ჭ. -ს და ნოტარიუსის წინააღმდეგ.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ი. ნ. -ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, საჩივრის ავტორსა და ი. ნ. -ს შორის შედგა მოლაპარაკება რომლის თანახმადაც, ი. ნ. გაწევდა იურიდიულ მომსახურებას, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით შპს „x x "- ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვ. მ. -ის და საქართველოს მოქალაქეების: ნ. ჭ. -ს და ნოტარიუს მ. კ. -ის წინააღმდეგ, რის სანაცვლოდაც დავის დასრულებისთანავე საჩივრის ავტორს უნდა გადაეხადა მისთვის დავის საგნის ღირებულების 4%.

ბ) ადვოკატის განმარტებით, ის არ დაპირებია ბ. ბ. -ს იურიდიული მომსახურების გაწევას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე შპს „x x "-ის, ვ. მ. -ის, ნ. ჭ. -სა და ნოტარიუს მ. კ. -ის მიმართ, დავის საგნის ღირებულების 4%-ის სანაცვლოდ. მას იურიდიულ მომსახურება უნდა გაეწია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე ნ. ჭ. -ს და ნოტარიუსის წინააღმდეგ.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ნ. -ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ი. ნ. -ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:

8.1.1 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი: ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა,

რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

8.1.2 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ".

8.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე".

8.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე."

8.1.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით."

8.2 ადვოკატმა, რომელმაც კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას, წარმოადგინა სხვა კლიენტი, რომლის პოზიცია ყოფილი კლიენტისგან განსხვავებით არსებითად საწინააღმდეგოა იმავე ან დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული.

8.3 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ახალი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე ვალდებულია შეაფასოს ის რისკები, რაც დაკავშირებულია ინტერესთა კონფქლიტის წარმოქმნის საფრთხესთან, რამაც შესაძლოა ნდობის პრინციპის დარღვევის და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე შექმნას.

8.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში №015/10 ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე განმარტა, რომ „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ- ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს".

8.5 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე №015/10 განმარტა, რომ „ნდობის პრინციპი უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევასა და განხორციელებულ წარმომადგენლობას. ნდობის პრინციპზე დაფუძნებით, კლიენტს გააჩნია მოლოდინი, რომ ადვოკატი

განახორციელებს მისი ინტერესების დაცვასა და მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული მისი ინტერესების საზიანოდ.“

8.6 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებაში მითითებულ ადვოკატის ქმედების სამართლებრივ შეფასებას იმასთან დაკავშრებით, რომ ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია წარმოიშვას, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ. ადვოკატს მთელი რიგი ვალდებულებები აკისრია, როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ, რაც ადვოკატის მიმართ ნდობასა და კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას უკავშირდება. მით უფრო, რომ ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტის მიუხედავადაც გააჩნია კონფიდენციალური ინფორმაციის და ნდობის დაცვის პრინციპი. ინტერესთა კონფლიქტი კი სწორედ ამ პრინციპების დარღვევას უკავშირდება.

8.7 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმებამდე, ადვოკატი ი. ნ. სისხლის სამართლის საქმეზე დახმარებას უწევდა კომპანიას (შპს „x x -ს), რომლის წარმომადგენელმა ის დააკავშირა საჩივრის ავტორს. განსახილველ შემთხვევაში,საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს იურიდიული მომსახურება გაუწია სისსხლის სამართლის საქმეზე ნ. ჭ. -ს და ნოტარიუსის წინააღმდეგ. განხილვის კოლეგია აღნიშნავს ,რომ სამოქალაქო დავაში საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენდნენ შპს „x x ”, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვ. მ. და საქართველოს მოქალაქეები: ნ. ჭ. და ნოტარიუსი მ. კ. . მოცემულ საქმეზე, საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეების ვ. მ. -ისა და შპს „x x“-ის სააპელაციო შესაგებელზე ხელი მოაწერა ი. ნ. -მ, როგორც წარმომადგენელმა.

8.8 განხილვის კოლეგია ადვოკატის განმარტებასთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ ის საჩივრის ავტორს შეუთანხმდა მხოლოდ სისხლისამართლის წარმოებისას იურიდიუილი დახმარების გაწევაში, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარეს არც კი ჰქონოდა მნიშვნელობა, რადგან ინფორმაციის ფლობა, რომელიც მომჩივანისგან ადვოკატს გააჩნდა, წინააღმდეგობრივ საფრთხეს შეიცავდა, ცალკე სამოქალაქო დავისას, მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინფორმაციის ისევ ამ ადვოკატის ხელთ არსებობასთან. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა ვერ განსაზღვრა, თუ რამდენად არსებობდა ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის აშკარა საფრთხე.

8.9 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი არ იყო ის ფაქტი, იმყოფებოდა თუ არა საჩივრის ავტორის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარე - ვ. მ. სამართალწარმოების მიმდინარეობისას საქართველოში, რადგან მის მიერ ადვოკატ ი. ნ. ზე გადაცემული ნოტარიული უფლებამოსილება და ადვოკატის მიერ არსებითი ხასიათის დოკუმენტზე (სააპელაციო შესაგებელი) ხელმოწერა, როგორც წარმომადგენლის მიერ და შემდგომ აღნიშნულის სასამართლოში წარდგენა ინფორმაციის შესწავლა-დამუშავებას გულისხმობს, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაციისა, რაც ნდობის დარღვევისა და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხეზე მიუთითებს, რომელიც ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის აშკარა საფრთხის არსებობის გაუთვალისწინებლობის შედეგია.

8.10 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის განსაზღვრის არარსებობამ გამოიწვია

კონფიდენციალობისა და ნდობის პრინციპების დარღვევა. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით, 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით, მე-6 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ი. ნ. -ს /სიითი №xxxx/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. ადვოკატ ი. ნ. -ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.№32) დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/